გაციფრულება

ტრენინგი

დამსწრე პირთა კრიტერიუმები

- კომპანიის შემოსავალი ბოლო კალენდარული წლის მანძილზე არ აღემატებოდა 20,000,000 ლარს;
- მისი ეკონომიკური საქმიანობის სახე არ თავსდება შეზღუდულ საქმიანობათა ნუსხაში (იხ. ქვემოთ);
- არ არის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად I ან II კატეგორიის საწარმოს, ან სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის, აგრეთვე სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირი;
- არ აქვს სახელმწიფოს მიმართ საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე);
- არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

შეზღუდული საქმიანობები

ა) საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის - სეკ 006-2016 (NACE-Rev-2)-ის შემდეგი საქმიანობის კოდები:

განყოფილება	ქვეკლასი	ქვეკლასის დასახელება
01	01.28.0	სანელებლების, არომატული, ნარკოტიკული და ფარმაცევტული კულტურების მოყვანა
01	01.70.0	ნადირობა, ჭერა და მასთან დაკავშირებული მომსახურება
20	20.51.0	ფეთქებადი ნივთიერებების წარმოება
64	64.11.0	ცენტრალური ბანკის საქმიანობა
64	64.19.1	კომერციული ბანკების საქმიანობა
64	64.19.9	მონეტარული შუამავლობის სხვა სახეები
64	64.20.0	ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობები
64	64.30.0	ტრასტები, ფონდები და მსგავსი ფინანსური სუბიექტები
65	65.30.0	საპენსიო ფონდების საქმიანობები
82	82.91.0	გადასახდელების შემგროვებელი სააგენტოების და საკრედიტო ბიუროების საქმიანობები
84	84.11.1	ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების აღმასრულებელი და საკანონმდებლო მართვა
84	84.11.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობის მართვა და ზედამხედველობა
84	84.11.3	ზოგადი ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვის და სტატისტიკის სამსახურების მართვა და ფუნქციონირება
84	84.11.4	სახელმწიფო მმართველობის დამხმარე საქმიანობები
84	84.12.0	ჯანდაცვის, განათლების, კულტურული მომსახურების და სხვა სოციალური მომსახურების საქმიანობების რეგულირება, სოციალური უსაფრთხოების გარდა
84	84.13.0	ბიზნესის ეფექტიანობის ხელშეწყობა და რეგულირება
84	84.21.0	საგარეო საქმიანობა
84	84.22.0	თავდაცვის საქმიანობები
84	84.23.0	იუსტიციის და სასამართლოების საქმიანობები
84	84.24.0	საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმიანობები
84	84.25.0	სახანძრო მომსახურების საქმიანობები
84	84.30.0	სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების საქმიანობები
94	94.11.0	ბიზნესის და დამსაქმებელთა საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები
94	94.12.0	პროფესიული საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები
94	94.20.0	პროფესიული კავშირების საქმიანობები
94	94.99.0	სხვა საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
99	99.00.0	ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები

ბ) ეკონომიკური საქმიანობები, რომელიც მოიცავს:

1. რელიგიურ, პოლიტიკურ, საომარი და სხვა მსგავს აქტივობებს;
2. ნებისმიერი პროდუქტის ან აქტივობის წარმოებას ან ვაჭრობას, რომელიც მიჩნეულია არალეგალურად ქვეყნის კანონმდებლობით ან რეგულაციებით ან საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით, ან ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებს, როგორებიცაა: • ოზონის დამშლელი/გამანადგურებელი ნივთიერებები; • პოლიკლორირებული ბიფენილი; • გარეული ჯიშის ცხოველები; •„გადაშენების პირას მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციით“ (CITES) რეგულირებული სახეობები;
3. ზრდასრულთა გასართობი საშუალებების წარმოებას ან/და ვაჭრობას (ე. წ. „Production or trade-in adult entertainment“);
4. იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოებას ან/და ვაჭრობას;
5. ალკოჰოლური სასმელების წარმოება ან/და ვაჭრობა (ლუდის, ყურძნის ღვინის, სიდრისა და სხვა ხილის ღვინოების გარდა);
6. თამბაქოს წარმოებას ან/და ვაჭრობას;
7. აზარტული თამაშების, კაზინოებისა და ეკვივალენტური კომპანიების საქმიანობებს;
8. რადიოაქტიური მასალების წარმოებას ან/და ვაჭრობა (ეს არ ეხება სამედიცინო აღჭურვილობის, ხარისხის კონტროლის (გაზომვის) აღჭურვილობისა და ნებისმიერი აღჭურვილობის შეძენას, სადაც რადიოაქტიური წყარო უმნიშვნელოა ან/და ადეკვატურად დაცული;
9. შეუერთებელი/შეუკვრელი აზბესტის ბოჭკოების წარმოებას ან/და ვაჭრობას (აღნიშნული არ ვრცელდება შეკრული აზბესტის ცემენტის ფურცლის შეძენასა და გამოყენებაზე, სადაც აზბესტის შემცველობა 20%-ზე ნაკლებია);
10. საზღვაო გარემოში 2,5 კმ-ზე მეტი სიგრძის ბადის გამოყენებით თევზაობას;
11. წარმოებას ან საქმიანობას, რომელიც მოიცავს იძულებითი შრომის საზიანო ან ექსპლუატაციურ ფორმებს/ბავშვებისათვის საზიანო შრომას;
12. მნიშვნელოვანი მოცულობის საშიში ქიმიკატების წარმოებას, ვაჭრობას, შენახვას ან/და ტრანსპორტირებას ან/და მათ გამოყენებას კომერციული მოხმარებისთვის (საშიში ქიმიკატები მოიცავს ბენზინს, ნავთსა და სხვა ნავთობპროდუქტებს);
13. ტყეების გაჩეხვას ტროპიკული ტენიანი ტყის პირველადი სახით გამოყენების მიზნით;

14. ხის ან სხვა სატყეო პროდუქტების წარმოებას ან ვაჭრობა, გარდა მდგრადად მართვადი ტყეებისა;
15. ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას ნარჩენებით ან ნარჩენი პროდუქტებით, გარდა გადამუშავებისთვის განკუთვნილი არასახიფათო ნარჩენებისა;
16. მდგრადი ორგანული დამაბინძურებელი ნივთიერებების წარმოებას ან/და ვაჭრობას;
17. საქმიანობას, რომელიც მოიცავს ეროვნული პარკის ან მსგავსი დაცული ტერიტორიის მნიშვნელოვან დეგრადაციას;
18. საქმიანობას, რომელიც მოიცავს სამსახურში მუშათა/დასაქმებულთა ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების დაუცველობას/ შეუსრულებლობას;
19. საქმიანობას, რომელიც მოიცავს უძრავი ქონებით სპეკულაციას;
20. საქმიანობას, რომელიც მოცემულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართ №1-სა და დანართ №2-ში.